

# საგაზეთო

საგაზეთო  
სამსახური

საგაზეთო სამსახური 20 დეკემბერი 2006 №294 (2916)

ფასი 50 თეთრი

# 7 000 000



რუსელებმა  
შაჰკეს  
მალსაჟ  
ასათიანი  
დაუფასეს  
ბერმანელები  
ქართვებს  
ნახალწლებს  
ბერმანიაში  
უხვდებიან

საგაზეთო  
სამსახური  
20  
დეკემბერი  
2006



# 4 000 000

მოსკოვის ლოკომოტივი არტს  
ყიდის და ბერკას ყიდულობს  
გოგობა გოგუა რკინიგზაში?

# ასათიანი კობიაშვილთან



მურამ ღოღობერიძე

## ლოკომოტივმა ფალკუს 7 მილიონი უთხრა

რუსული პრესა ქართველების ტრანსფერებზე ალაპარაკდა. გუშინ ლევან კობიაშვილით მოსკოვის „სპარტაკის“ დაინტერესებაზე ვწერდით, ახლა კი...

ის, რაც ქართულმა სპორტულმა პრესამ აქამდე არაერთხელ გამცნოთ, რუსებმაც შეიტყვეს: გერმანული „შალკე“ მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველ მალხაზ ასათიანს სერიოზულად დაინტერესდა.

გაზეთ „ტვი დენის“ ინფორმაციით, 25 წლის ქართველი ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი 7 მილიონი დოლარია.

„გერმანული კლუბი ასათიანს ჯერ კიდევ შარშან დაინტერესდა. „შალკეს“ ასათიანი წინა შესარჩევ ციკლში მოეწონა, როცა მალ-

ხაზმა საქართველოს ნაკრებში შესანიშნავად ითამაშა და სამი გოლიც გაიტანა“ — წერენ რუსები.

როგორც ირკვევა, „შალკეს“ „ლოკომოტივთან“ მოლაპარაკების დაწყება არც დაუხანებია, მაგრამ შეთანხმების მიღწევა გაძნეულდა — როგორც მოსალოდნელი იყო, რკინიგზელები საკმაო თანხას ითხოვდნენ.

„მოლაპარაკებები მას შემდეგ შეჩერდა, რაც ასათიანი სექტემბერში ცეცხკასთან მატჩში დაშავდა. ახლა „შალკე“ ცდილობს, თავისას გაიხად ზაფხულში მიღწიოს და ქართველი ფეხბურთელი შეიძინოს“ — უთხრა „ტვი დენს“ „ლოკომოტივის“ მავანმა წარმომადგენელმა.

ჩვენ კი გეტყვით, რომ მალხაზი ახლა მოსკოვშია და გერმანელი ექიმების შედგენილი პროგრამით ყოველდღე ვარჯიშობს. ადრეც გაუწყვეთ, რომ ის ნახალწლევს ერთხელაც ჩავა გერმანულ რუიტში და...

„მალხაზი რუიტში ერთხელაც უნდა გაესინჯოს ექიმებს და დიდი შანსია, „შალკეს“ წარმომადგენლებსაც იმ დროს შეხვდეს“ — ეს კი „ლოკომოტივის“ ოფიციალური კომენტარია.

და ლონდონის „არსენალი“... „შალკეს“ მთავარი კონკურენტი ასათიანის ტრანსფერში სწორედ არსენ ვენგერის კლუბი იყო, მაგრამ...

„ლონდონელებს მაშინ სურდათ ასათიანი, როცა სოლ კემპბელის გაშვება გადაწყვიტეს,

მაგრამ მაშინ „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ ქართველ ფეხბურთელთან განმარტება არ ისურვა და „არსენალს“ უარი უთხრა — ამბობს ამჯერად ინკოგნიტო რკინიგზელი წყარო — „ლოკომოტივი“ უეფას თანხე თამაშობდა, რუსულ პრემიერლიგაში კი ჩემპიონობისთვის იბრძოდა და, ბუნებრივია, ერთ-ერთ ლიდერს ვერ შეეღოლა“.

მოკლედ, დარჩა „შალკე“, ლევან კობიაშვილის გუნდი და... იტალიური „რომა“, რომელმაც რამდენიმე თვის წინ გამოთქვა ასათიანის შეძენის სურვილი. სხვების, ძირითადად, რუსული და უკრაინული კლუბების მანსი კი, რა თქმა უნდა, გაცილებით მცირეა...

აასა ზალაგბერიძე

## გაგუკა ჯუღელი მოსკოვში მიდის...



„შალკე“ ასათიანის თემის ირიბი გაგრძელება: ორიოდ კვირის წინაც გამცნეთ, რომ ნალჩიკის „სპარტაკიდან“ წამოსული გოგია გოგუა შესაძლოა, მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდეს.

რუსული პრესის ცნობით კი, რკინიგზელებს გოგუა ოთხი მილიონი დოლარი დაუჯდებათ და მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

„გოგუას შეძენა „ლოკომოტივის“ გარდა ყაზანის „რუბინსაც“ სურს, თუმცა თავად ფეხბურთელს მოსკოვში გადასვლა უნდა. „ლოკომოტივის“ სელექციონერები აღფრთოვა-

ნებულები დარჩნენ გოგუას „ნალჩიკში“ თამაშით. თანაც მას საყრდენადც შეუძლია თამაში და ფლანგზეც. საინტერესოა ისიც, რომ „ნალჩიკში“ ქართველმა ფეხბურთელმა ბრწყინვალე ტანდემი შექმნა რომან კონცედალოვთან, რომელიც სწორედ „ლოკომოტივის“ საკუთრებაა და მომავალ სეზონში კლუბს უბრუნდება“ — წერენ რუსები.

ჩვენ კი შევითვქვით, რომ რამდენიმე დღეში მოსკოვში მიემგზავრება გოგიტას აგენტი მამუკა ჯუღელი. ასე რომ...

აასა ზალაგბერიძე

## თეთრაქე დადესტანში

საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ომარ თეთრაქე ალბათ მახაჩყალის „ანჟის“ მთავარი მწვრთნელი გახდება.

თეთრაქეს ცოტა ხნის წინა დაუმთავრდა კონტრაქტი სამარის „კრილია სოვეტოვთან“ და მახაჩყალელთა წინადადებაც უმაღლ მიიღო.

თეთრაქე ახლა მახაჩყალაშია და მოლაპარაკებებს აწარმოებს. რუსული პრესის ცნობით, მხარეები ალბათ შეთანხმებას მოახერხებენ და თეთრაქეც თავის ყოფილ გუნდს ჩაუდგება სათავეში.

აასა ზალაგბერიძე



### ინგლისი

პირველი ლიგა XXII ტური  
ნორთჰემპტონი 0:1 ლიტონი  
• ტრანშერი — ძრუუ გადაიდო  
პონფერანსლიგა XXII ტური  
კამბრიჯი — სტაფორდი გადაიდო  
ბიშოპსტონი — ნორსვიჩი გადაიდო  
ლიგის თასი მეოთხედიანი  
ლივერპული — არსენალი გადაიდო  
ჩარლტონი 0:1 უიკომბი

### უოტლანდია

მესამე დივიზიონი გადადებული მატჩი  
ისტ სტირლინგი — ბირმინგი გადაიდო

### იტალია

სერია B. XVII ტური  
არავი 0:0 პროტონე  
ბარი 2:2 რიმინი  
ბოლონია 0:1 იუვენტუსი  
ჩიანცა 0:0 ტრევიზო  
ფროსინონე 2:1 პერონა  
მანტოვა 1:0 მოდენა  
ნაპოლი 3:1 ბრეშა  
პესკარა 0:2 პიჩენცა  
სამპდორია 0:2 ლაჯო  
ტირინა 0:1 ჯანოვა  
ვიჩენცა 0:1 ალბინოლევა

### გერმანია

თასის მერვედიანი  
ბუნდესლიგა 14 მატჩი  
აინტრახტი 3:1 დ. (1:1) კიოლნი  
ნიურნბერგი 0:0 (2:3) უნტერჰაინგი  
ოსნაბრიუმი 0:3 პრეზა

### საფრანგეთი

ლიგის თასის მეოთხედიანი  
პორდო 1:0 დ. (0:0) სენტ ეტიენი

### საბერძნეთი

თასის 1/6 ფინალი  
პირველი მატჩები  
ირაკლისი 1:1 იანინა  
ჩაიდარი 1:3 ოლიმპიაკოსი

### თურქეთი

თასის ჯგუფური ეტაპი III ტური  
A ჯგუფი  
ძანისარი 0:0 ბურსა  
C ჯგუფი  
ფენერბაჰჩე 6:0 ინეგოლი  
D ჯგუფი  
ანკარაბიუჯიუ 3:1 ბუზა

### ესპანეთი

პრიმერა დივიზიონი XVI ტური  
ბილბაო 0:0 სარაგოსა  
ვალენსია 3:1 მალიორკა



# სასწაული უნდა მოხდეს, სასწაული როგორც მოხდეს



ბადრი კეთილშობილი ფოტო

**თელავის** „კახეთმა“ უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნოს, სასწაული უნდა მოხდეს.

პირველი წრის დასრულებამდე გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა და კახელები ახალგაზრდა, გამოუცდიელი ბიჭების იმედს დაარჩინეს. გუნდი მეორე ეტაპისთვის მზადებას კი შეუდგა, თუმცა ელიტაში დარჩენის იმედი არც მთავარ მწვრთნელ ვასილ არუღაშვილს აქვს...

„ამ ეტაპზე ფიზიკური მომზადებას ვაქცევთ ყურადღებას და მინი-ფეხბურთის ვთამაშობთ. 26-27 დეკემბერს ბიჭებს დროებით დაეთხოვით, ახალი წლიდან კი ვარჯიშებს ისევ განვაახლებთ. მათ გარდა, ვინც პირველი წრის ბოლოს

გუნდი დატოვა, აღარავინ გამოგეკლებია. ვისაც დავიმატებთ, ისევე ჩვენი, თელაველი ფეხბურთელები იქნებიან. „მესხეთიდან“ დაგვიბრუნდება მეკარე გელა ძამუნაშვილი, ტრავმის გამო მთელი წელი გაუცდა ბექა ბურნაძეს და, სავარაუდოდ, ისიც ჩვენთან ითამაშებს. სამი მოთამაშე „ყვარელში“ გვყავდა განთხოვრებული და დავიბრუნებთ, აი, სულ ეს იქნება. მეორე წრისთვის სასწაულს არავის ვპირდებით, მაგრამ ყველა თამაშში ჩვენსას ვეცდებით. მცირე ფინანსურ დახმარებასაც გვპირდებიან, რაც ამ ბიჭებს მეტ სტიმულს მისცემს და ერთად ვეცდებით გუნდის გაკეთებას“ — გვითხრა არუღაშვილმა.

**მიხეილ შორაშოლიანი**



ლადო ბურღული



ეროვნული ჩემპიონატი

## პრივოი როგორც გადაჩა, ქართული დუბი დარჩა პრივასმა მფრთხელობის მოკეზნა და პრეზიდენტის

**პრივოი როგორც** „კრივასს“ საშველი დაადგა — მალე კლუბის ახალი პატრონი ოფიციალურად გამოცხადდება, იქამდე კი გუნდს მთავარი მწვრთნელი დაუნიშნეს.

ოლეგ ტარანი — ეს კაცი გაწვრთნის „კრივასში“ საქართველოს ნაკრების კანდიდატებს, ვასილ გიგიაძეს და ლადო ბურღულს.

შეგახსენებთ, რომ კრივიორთული კლუბი ცოტა ხნის წინა დატოვს მწვრთნელ-პრეზიდენტმა, სამიმრობა იყო, გუნდი საერთოდ დაშლილიყო, თეხბურთელები კი უკვე ახალ გუნდებს ეძებდნენ და...

„კრივასი“ ალექსანდრ ლივშიცმა იხსნა — სწორედ ის არის პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი და ამის იურიდიულად გაფორმებას წინ, ფაქტობრივად აღარაფერი უდგას.

— ის ფეხბურთელები, რომელთაც კლუბთან კონტრაქტი აკავშირებთ, ჩვენთან დარჩებიან. გუნდის ლიდერებზე კი ლაპარაკიც არ არის — განაცხადა ლივშიცმა — გაუშვებთ მხოლოდ მათ, რომლებიც იჯარით გვყავდა გადმოყვანილი.

ასე რომ, „კრივასი“ გაცოცხლდა და გიგიაძე-ბურღულსაც არხად უშვებს.

ბასა ზალაგზერიძე

## პერტიამ დარბაზში სამი ბურთი შეიტანა

**ჯამთრის** ლატვიაში ფუტსალის საქალაქო ჩემპიონატები ტრადიციულად იქცა და ტრადიციული ხდება ამ ტურნირებში უმაღლესლიგული ფეხბურთელების მონაწილეობაც.

რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ რიგის „ვალეში“ თამაშობს ერთ დროს საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ალექსანდრე რევიამი, ახლა კი კიდევ ერთი ქართველის „პატარა ტრანსფერზე“ გეტყვი: „დიტონის“ შემტევი თამაზ პერტია დაუგავილისის „ბუმბუხანი-ზაციაში“ გადავიდა და პირველივე მატჩში ჰეთ თრიქით გამოირჩა — „ბუმბუხანი-ზაცია“ რვაგუნდა ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა.



ბასა ზალაგზერიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი ჩვენი მეტოქე

## იტალია რუმინეთთან იამხანაგებს

2007 წლის 7 თებერვალს იტალიის ნაკრები ამხანაგურ მატჩში რუმინეთს გაეჯიბრება.

სააგენტო „როიტერის“ ცნობით, მხარეები უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ.

შეგახსენებთ, რომ 7 თებერვალს საქართველოს ნაკრებიც არ იქნება უქმად — თბილისში თურქეთის ეროვნული გუნდი ჩამოდის.

**ლუბა თალაგზაძე**

## სირაქემ და ღვინიანიქემ ერთმანეთი ამოკეზნეს

გუშინდინ მეორე ბუნდესლიგაში მათე ღვინიანიძის „მიუნხენ 1860“-მა დავით სირაქის აუე-ს 4:0 მოუგო. ორივე ჩვენებური გააფრთხილეს, სირაქემ კი ყვითელი ბარათი ღვინიანიძესთან ორთაბრძოლისას მიიღო.

მაინც როგორი გამოდგა ღვინიანიძე-სირაქის დაპირისპირება? ამაზე კომენტარი ნაგებული გუნდის წარმომადგენელს ვთხოვეთ...



დავით სირაქისი (მარჯვნივ) აუე-მ ექვსმატიანი მოგებათა სერია შეწყვიტა

- აუე-ს ზედიზედ ექვსი მატჩი ჰქონდა მოგებული მეორე ბუნდესლიგაში და ეს სერია ალბათ უნდა დასრულებულიყო. დაცვაში ძალიან ბევრი უხეში შეცდომა დავეშვიტ, მაგრამ ისიცაა, რომ „მიუნხენმა“ გვაჯობა — გვითხრა სირაქემ.
- ყვითელი ბარათი ღვინიანიძესთან ორთაბრძოლის შემდეგ გიჩვენეს...
- მაღალ ბურთზე ავხტით, ღვინიანიძეს ზურგით დავეჯახე და შეჯახების მერე მათე ცუდად დაეცა მოედანზე. ჩემგან უხეშობა არ ყოფილა, მაგრამ მსაჯმა სხვანაირად ჩათვალა.
- ღვინიანიძესთან ხშირად გიწვევდა ორთაბრძოლა?
- მე მარცხენა შემტევი ვიყავი, მათე კი მარჯვენა მცველი იყო და ორთაბრძოლები ხშირად გვიწვევდა. სტანდარტულ სიტუაციებშიც ერთმანეთს შეურველობდით, კუთხურების თუ ჯარიმების დროს ღვინიანიძე

ხშირად მიდიოდა შეტევაში. საერთო ჯამში კი, ისე გამოვიდა, რომ ჩვენი ზონიდან ამ მატჩში დიდად მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

— რას ფიქრობ, ღვინიანიძე, როგორ ჩაჯდა „მიუნხენში“?

— ნორმალურად, თანაგუნდელები სულ გვერდში უდგანან და სულ ამხნევენ. ღვინიანიძე მართლაც პერსპექტიული ფეხბურთელია.

დავით თავართილაძე

## ჯავაროვმა კანკავას სიტბო და მომავალი გააყოლა



**საქართველოს** ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი ჯაბა კანკავა კიევის „არსენალიდან“ დნებროპეტროვსკის „დნიპროში“ გადავიდა და ძალიან დაწვევითა გული დედაქალაქელთა თავკაც ალექსანდრ ზავაროვს. „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი ჯაბას წარმატებებს უსურვებს და ამბობს, რომ მას დიდი მომავალი აქვს...

— როცა ჯაბა ჩვენთან გადმოვიდა, მაშინვე ვუთხარი, რომ მან ქართველივით კი არ უნდა ითამაშოს, არამედ საკუთარი შესაძლებლობები გუნდის ინტერესებს შეუხამოს. ქართველები ინდივიდუალურად ძლიერები არიან, ჯაბამ კი დამიჯერა და კარგად გამოჩნდა, რომ მას თანაბრად ძლიერად შეუძლია თამაში დაცვაშიც და შეტევაშიც. უკვე შემიძლია თამაშად ვთქვა, რომ კანკავას მოედანზე ყველაფერი შეუძლია, მას დიდი მომავალი აქვს — განუცხადა ზავაროვმა უკრაინულ „კომანდას“.

შეგახსენებთ, რომ კანკავას „დნიპროში“ გადასვლის მერე „არსენალში“ ერთი ქართველი დარჩა — ლაშა ჯაკობია, ვინც ჯერაც ტრავმას იმუშებს, თუმცა იგი ისევ ხარკოვის „მეტალისტს“ უნდა დაუბრუნდეს.

**ბასა ზალაგზერიძე**







# FIFA WORLD PLAYER 2006

## ფიფა მსხარტი დაუკრა ზიდანმა ხალხი ბაისსა



ქალბის კანავარო ბრაზილიელი მარტა გაბლა



AFP ციურინიდან

„ფეხბურთი ეგებება მოცარტს“ — აი, ასეთი ლოზუნგი ჰქონდა ციურინის ოპერაში გამართულ ვალა წარმოდგენას. ბუნებრივია, აქ, მავან ბრაზილიელ ფეხბურთელ მოცარტზე არ არის საუბარი, აქ, დიდ ავსტრიელ კომპოზიტორ ვოლფგანგ ამადეუს მოცარტზე მოგახსენებთ, რომლის დაბადებიდან 250 წლისთავი და ფიფას ვერსიით მსოფლიოს 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოება ერთმანეთს დაამთხვეს.

ვარსკვლავები გადავსებულ დარბაზში ჩატარებული საღამოს კულმინაცია, საუკეთესო კაცი ფეხბურთელის ფაბიო კანავაროს და ქალი ფეხბურთელის ბრაზილიელი მარტას გვარების გამოცხადება, მათი სცენაზე მიხმობა და ჯილდოს გადაცემა გახლდათ.

თუმცა, საათნახევის განმავლობაში და მსწრე საზოგადოებამ და მსოფლიო ტელემაყურებელმა მხოლოდ კულმინაცია და ეს ორი ჯილდო როდი ნახა. საღამოს ამშვენებდნენ წამყვანები რუდ გულიტი და ამანდა მაკლეინი. ციურინის ოპერის ორკესტრი უკრავდა ფრაგმენტებს მოცარტის უკვდავი ოპერიდან „ჯადოსნური ფლეიტა“. ორკესტრს ვლადიმირ ფედოსევი დირიჟორობდა.

2006 წლის მუნდიალის მიხედვით ფეარ პლეის ჯილდო ბრაზილიასა და ესპანეთს გაუყვეს, საუკეთესო მეკარისთვის დაწესებული ლევ იამინის სახელობის პრიზი კი იტალიის ნაკრების ვოლკანერს ჯანლუიჯი ბუფონს მიართვეს, თუმცა ბუფონი ვალა წარმოდგენას არ ესწრებოდა. მუნდიალზე

ბევრი გოლების გატანა სამ კაცს, მიროსლავ კლოხეს, ერნან კრესპოსა და რონალდოს დაუფასდათ. მათ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ბურთები მიიღეს.

ცერემონილის სევილიაში მომენტი წარსულის დიდი იტალიელი ვარსკვლავის ჯაჩინტო ფაკეტის მოგონებასთან გახლდათ დაკავშირებული. ფაკეტი, მოგესხნებათ, სექტემბერში გარდაიცვალა. და ბოლოს, როგორც მოგახსენეთ, იყო კულმინაცია.

„მადლობა ღმერთს იმისათვის რასაც მივაღწიე — განაცხადა საუკეთესო ქალმა ფეხბურთელმა მარტამ — დიდი მადლობა ჩემს ოჯახსა და კლუბს, აგრეთვე თანაგუნდელებს. ვპირდებით, მომავალში კიდევ უფრო დიდი მონღობებით ვიმუშავებ, რათა აქ ხშირად მოვხდე“.

„დაუჯერებელია — ეს კი ფაბიო კანავაროს სიტყვებია — წლეულს გავხდი იტალიისა და მსოფლიოს ჩემპიონი, მოვიპოვე „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთი და ახლა ეს დიდი ჯილდო, მადლობა მწვრთნელებსა და კაპიტნებს, რომელთაც გამოკითხვაში ხმა მომცეს. ჯილდოს იტალიურ ფეხბურთის ვუძღვნი, რომელიც ამჟამად დიდი სირთულეების გადალახვაშია“.

შემდეგ სიტყვა მეორე ადგილზე გასულ ზინედინ ზიდანს მიეცა.

„იმედი მაქვს ხალხს დაამახსოვრდება რა გავაკეთე ფეხბურთისთვის. ფეხბურთშიც ბევრი მომცა. ბუნებრივია კაცი ვარ ამდენ ჩემპიონატში რომ მივიღე მონაწილეობა“.

პაპუნა კვიციანი

### მსოფლიოს საუკეთესო 1991-2006

1991	ჟან პიერ პაპენი	მარსელი	საფრანგეთი
1992	მარკო ვან ბასტენი	მილანი	ჰოლანდია
1993	რობერტო ბაჯო	იუვენტუსი	იტალია
1994	ხრისტო სტოიჩკოვი	ბარსელონა	ბულგარეთი
1995	ჟორჟ ვეა	მილანი	ლიბერია
1996	მათიას ზამერი	დორტმუნდი	გერმანია
1997	რონალდო	ინტერი	ბრაზილია
1998	ზინედინ ზიდანი	იუვენტუსი	საფრანგეთი
1999	რივალდო	ბარსელონა	ბრაზილია
2000	ლუიშ ფიგუ	რეალი	პორტუგალია
2001	მაიკლ ოუენი	ლივერპული	ინგლისი
2002	რონალდო	ინტერი, რეალი	ბრაზილია
2003	პაველ ნედვედი	იუვენტუსი	ჩეხეთი
2004	ანდრეი შევჩენკო	მილანი	უკრაინა
2005	რონალდინიო	ბარსელონა	ბრაზილია
2006	ფაბიო კანავარო	რეალი	იტალია

### ფიფას საუკეთესო 1991-2006

1991	ლოთარ მათეუსი	ინტერი	გერმანია
1992	მარკო ვან ბასტენი	მილანი	ჰოლანდია
1993	რობერტო ბაჯო	იუვენტუსი	იტალია
1994	რომარიო	ბარსელონა	ბრაზილია
1995	ჟორჟ ვეა	მილანი	ლიბერია
1996	რონალდო	ბარსელონა	ბრაზილია
1997	რონალდო	ინტერი	ბრაზილია
1998	ზინედინ ზიდანი	იუვენტუსი	საფრანგეთი
1999	რივალდო	ბარსელონა	ბრაზილია
2000	ზინედინ ზიდანი	იუვენტუსი	საფრანგეთი
2001	ლუიშ ფიგუ	რეალი	პორტუგალია
2002	რონალდო	რეალი	ბრაზილია
2003	ზინედინ ზიდანი	რეალი	საფრანგეთი
2004	რონალდინიო	ბარსელონა	ბრაზილია
2005	რონალდინიო	ბარსელონა	ბრაზილია
2006	ფაბიო კანავარო	რეალი	იტალია











Table with columns for time, program number, program name, and technical specifications (1, X, 2, 1-X, 1-2, X-2). Includes programs like 'პანთონიკოსი-კალიპარია', 'კერეინი-ინკოსი', 'პაიკერეოტეკოსი', etc.

Table with columns for time, program number, program name, and technical specifications (1, X, 2, 1-X, 1-2, X-2). Includes programs like 'აგლანტა-უდინესუ', 'კალიპარია-ფიორენტინა', 'კოკო-რუჯინა', etc.

**შესაძლო ცვლილებები აღვილზე დაახუსტებით**

**I ტაიმის შედეგები**

Table with columns for program number, program name, and technical specifications (1, X, 2, 1-X, 1-2, X-2). Lists results for programs 10077 to 10151.

**1-ლი ტაიმი/პირითაღი დრო**

Table with columns for program number, program name, and technical specifications (1/1, 1/X, 1/2, X/1, X/X, X/2, 2/1, 2/X, 2/2). Lists results for programs 11077 to 11151.

**რამდენი გოლი გავა მატჩში (პირითაღი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**  
Table with columns for program number, program name, and goals scored (სეკ., მეტ.).

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (პირითაღი დრო)**  
Table with columns for program number, program name, and goal prediction (კი, არა).

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**  
Table with columns for program number, program name, and first scorer (მატჩის 0-4 წამყვანის შემთხვევა, ორივე გუნდი წამყვანს გაიტანს).

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**  
Table with columns for program number, program name, and goals by half (I-ში, თანაბრად, II-ში).

**ვრავს გარეშე (პირ დრო)**  
Table with columns for program number, program name, and goals from outside (პირითაღი დრო).

**გოლი:წმინდი-10უ კენტი-2 (0:0 ითვლება წმინდად)**  
Table with columns for program number, program name, and clean sheets (წმინდად, 10უ კენტი).







AFP ბუენოს აირესიდან




### დიეგო როგუბუტი

მარადონა რაღაც საჩოგბურთო ამბავში გარეულა. ძველი ვარსკვლავი გილერმო ვილასი, დავიდ ნალბანდიანი და გილერმო კანასი, ესპანელ კარლოს მოიასთან ერთად ჩოგ-ფეხბურთსაც თამაშობენ და ვილასის დიდი პორტრეტის გვერდითაც ხარობენ.



AFP ბუენოს აირესიდან



პრემიერი გიორგი ბერიძე

### ნბა-ური ბურთოაბა

პირველ რიგში კინოს და სპორტის ვარსკვლავები სხედან ხოლმე. ახლაც ასეა: „მედისონ სკვერ გარდენში“ „ნიქსი“ „იუტას“ ეთამაშება, ერთმანეთს კი მხარს ბილი მიურეი და აჰმად რაშადი უმშვენებენ. სხვაგან კი, თამაშის წინ ბავშვებთან სურათების გადაღებას ძლიერ მოდამია. მეფისეული „გრიზლები“ სიეტლელებს მასპინძლობენ, მანამდე კი პაუ გასოლი მავან ჭკვიან ყმანვილთან ერთად გაჩხაკუნდა.



### ოსკარ-ბოსტუმიანი

ოსკარ დე ლა ჰოიამ კრივში ყველაფერს მიაღწია და ახლა პრომოუტერია. სანტა დომინგოში ის საჩემპიონო ბრძოლას აწყობს, მანამდე კი ალბათ პატარა ბიჭს უსურვებს, რომ მანაც ყველაფერს მიაღწიოს.

**სარბიელი**  
საორტული გაზატი  
გამოიცვამა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის ორგანოს,  
საშაბათს, ოთხშაბათს,  
ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ შოთხაძე  
დირექტორი გიორგი ოქროშაძე  
მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი  
პასუხისმგებელი რედაქტორი პასა შალამბერიძე  
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბუაძე  
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე,  
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი  
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი პაპა ხუციშვილი  
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი,  
ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაყიძე

ვიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიძე  
გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი,  
ოთარ მაღალაძე, ირაკლი პერტაძა, ბაი სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე  
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესულია,  
ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალისხელი, მაგდა დოგრაშვილი,  
რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ  
წერეთელი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე  
ყაზაგის ბაზარი 42, II  
კორპუსი, IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი:  
თბილისი - 79, საზოგადოებრივი  
წუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbili@gol.ge  
ელექტრონული პოსტა  
http://www.sarbili.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00